თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2021 წლის 8 ნოემბრის დისტანციური სხდომის

ო ქ მ ი N 6

2021 წლის 8 ნოემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისტანციური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, გიორგი ქავთარაძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ქეთევან ხუციშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე;** ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **ვალერიან ვაშაკიძე** (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **ავტორთა კოლექტივის წარდგენა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიაზე ნაშრომთა ციკლისათვის ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ.**
2. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. **ავტორთა კოლექტივის წარდგენა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიაზე ნაშრომთა ციკლისათვის ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ.**

ლავრენტი ჯანიაშვილი: მოგეხსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად: ***ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია - ისტორიის, არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და ხელოვნების დარგში.*** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე შემოსულია ერთი განცხადება ავტორთა კოლექტივისა, რომ მათი ნაშრომთა ციკლი ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა წარადგინოს აღნიშნული პრემიის მოსაპოვებლად. ვთხოვ ბ-ნ გიორგი ჭეიშვილს მოგვახსენოს თავისი მოსაზრება წარსადგენ ნაშრომთან დაკავშირებით.

გიორგი ჭეიშვილი: ბატონმა ბუბა კუდავამ, რომელიც გახლავთ ერთ-ერთი ავტორი ნაშრომთა ციკლისა, მოგვმართა თხოვნით, რომ ჩვენმა ინსტიტუტმა ავტორთა კოლექტივი: **ნესტან ბაგაური, ნანა ბურჭულაძე, გიორგი გაგოშიძე, როზეტა გუჯეჯიანი, ბუბა კუდავა, ნიკოლოზ ჟღენტი, გოჩა საითიძე, ნათია ფონიავა, ნეტან ჩხიკვაძე, ნათია ხიზანიშვილი** წარადგინოს ე. თაყაიშვილის პრემიის მოსაპოვებლად. აღნიშნული ნაშრომის შექმნაში, საკმაოდ ცნობილ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მეცნიერებმაც. წიგნის შექმნაში მონაწილეობდა ინსტიტუტის ორი თანამშრომელი. ნაშრომთა ციკლი სავსებით ესადაგება ექვთიმე თაყაიშვილის პრემიას, მასში წარმოდგენილია ტაო-კლარჯეთის ისტორია უძველესი დროიდან მე-20 საუკუნემდე და აქ შექმნილი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომი თარგმნილია ინგლისურ და თურქულ ენეზე, რაც განაპირობებს მის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო აუდიტორიისათვის. უფრო დაწვრილებით წიგნის შესახებ ქალბატონი ეკა კვაჭანტირაძე მოგვახსენებს.

ეკა კვაჭანტირაძემ ზოგადად მიმოიხილა ნაშრომთა ციკლი, აღნიშნა, რომ წიგნი და კატალოგი შექმნილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში; გამოცემულია 2018 წელს; რედაქტორები არიან: ბუბა კუდავა და გოჩა საითიძე;

ქალბატონმა ეკა კვაჭანტირაძემ მის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო დასკვნაში ხაზი გაუსვა ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას (იხ. დანართი); აღნიშნა, რომ ამ ნაშრომის შექმნით ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიიღო მაღალი დონის ფუნდამენტური სამეცნიერო პროდუქტი, რომელიც თავისი მულტიდარგობრიობით, და ვრცელი საცნობარო ბაზის არსებობით, დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც დამწყებ მკვლევრებს, ისე უკვე ჩამოყალიბებულ მეცნიერებს და საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, ქეთევან ხუციშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, დოდო ჭუმბურიძემ, გიორგი ჭეიშვილმა და სხვა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: კოლეგებო, ვუყაროთ კენჭი, რომ ავტორთა კოლექტივი: **ნესტან ბაგაური, ნანა ბურჭულაძე, გიორგი გაგოშიძე, როზეტა გუჯეჯიანი, ბუბა კუდავა, ნიკოლოზ ჟღენტი, გოჩა საითიძე, ნათია ფონიავა, ნესტან ჩხიკვაძე, ნათია ხიზანიშვილი** - წარდგენილი იქნას ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომთა ციკლისთვის ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე - 12 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ავტორთა კოლექტივი: **ნესტან ბაგაური, ნანა ბურჭულაძე, გიორგი გაგოშიძე, როზეტა გუჯეჯიანი, ბუბა კუდავა, ნიკოლოზ ჟღენტი, გოჩა საითიძე, ნათია ფონიავა,**

ნესტან ჩხიკვაძე, ნათია ხიზანიშვილი - წარდგენილი იქნას ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომთა ციკლისთვის ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ.

მოისმინეს:

2. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: ინსტიტუტის კრებულების დაბეჭდვასთან დაკავშირებით, მინდა გაცნობოთ, რომ ტენდერში გაიმარჯვა გამომცემლობა „მერიდიანმა.“ თუ მასალა მზად გაქვთ, შესაძლებელია მიაწოდოთ მათ წარმომადგენელს.

ლავრენტი ჯანიაშვილი: მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს სამეფო სახლმა ბატონ გიორგი ქავთარაძეს, არქეოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადასცა „მეფე ერეკლე მეორის სამეფო ორდენი.“ სამეცნიერო საბჭოს სახელით მინდა მივულოცო ბ-ნ გიორგის ეს ჯილდო, ვუსურვო წარმატებები და ხანგრძლივი სამეცნიერო საქმიანობა.

მინდა ასევე გავაკეთო განცხადება, რომ პარასკევს, 12 ნოემბერს, 19.00 სთ-ზე გაიმართება „საინსტიტუტო საუბრები“, დოქტორანტი დიმიტრი სილაქაძე წარმოადგენს მოხსენებას - „24 თებერვლის დილემა.“ შეხვედრა გაიმართება ზუმის ფორმატით. განყოფილებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი თანამშრომლე-ბისათვის ინფორმაციის მიწოდება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომამ დაადგინა:

ავტორთა კოლექტივი: **ნესტან ბაგაური, ნანა ბურჭულაძე, გიორგი გაგოშიძე, როზეტა გუჯეჯიანი, ბუბა კუდავა, ნიკოლოზ ჟღენტი, გოჩა საითიძე, ნათია ფონიავა, ნესტან ჩხიკვაძე, ნათია ხიზანიშვილი** - წარდგენილი იქნას ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომთა ციკლისთვის ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

08. 11. 2021

წარდგინება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

ნაშრომთა ციკლი ტაო-კლარჯეთის ისტორიის და კულტურის შესახებ. ხელმძღვანელი ბუბა კუდავა.

ისტორიულ-კულტურული ნარკვევი და კატალოგი ,,ტაო-კლარჯეთი'' 2018 წელს დაისტამბა გამომცემლობა ,,არტანუჯში''. ნაშრომი ავტორთა კოლექტიური კვლევაა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში მომზადდა. ნარკვევი შედგება წინათქმის, შესავლის, 4 თავისა და დანართებისაგან. ეს თავებია: ტაო-კლარჯეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე; კულტურა; ტრადიციული ყოფა; ქართული ენა, რომლებიც თავის მხრივ ქვეთავებისაგან შედგება. გამოცემა შეადგენს 598 გვერდს. გამოცემა სამენოვანია (სამი დამოუკიდებელი წიგნი ქართულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე). ნაშრომის რედაქტორები არიან: ბუბა კუდავა და გოჩა საითიძე.

დამოუკიდებელი წიგნია ,,ისტორიის და კულტურის ძეგლების კატალოგი. ტაო-კლარჯეთი''. ეს არის ამ რეგიონის ძეგლებთან დაკავშირებული დიდძალი ინფორმაციის თავმოყრის და სისტემატიზაციის პირველი მცდელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. კატალოგი მოიცავს ტაო-კლარჯეთის ეკლესიების, მონასტრების და ციხე-სიმაგრეების შესახებ ზოგად ინფორმაციას. გამოცემას ერთვის ტაო-კლარჯეთში გადაწერილი ან დაცული ხელნაწერების, რეგიონთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების კატალოგი, აგრეთვე დანართი დასახლებული პუნქტების შესახებ და რეგიონში მოღვაწე ისტორიულ პირთა ლექსიკონ-ცნობარი. ეს ნაწილიც ამგვარი საცნობარო მასალის შექმნის პირველი შემთხვევაა. გამოცემა შეადგენს 591 გვერდს.

ტაო-კლარჯეთის კვლევა მე-19 საუკუნიდან იწყება, განსაკუთრებით იზრდება ამ რეგიონის კვლევით დაინტერესებულ მეცნიერთა წრე 1990-იანი წლებიდან, შესაბამისად ჩატარებულია ბევრი ექსპედიცია და ფართოა პუბლიკაციათა სპექტრიც.

მაგრამ ვფიქრობთ, მათ შორის განსაკუთრებულად ღირებულია წარმოდგენილი ნაშრომი. ეს არის მრავალდარგობრივი, შემაჯამებელი ნაშრომი ტაო-კლარჯეთის შესახებ, რომელიც ამ რეგიონის ისტორიული, არქიტექტურული, ისტორიულ-გეოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობითი, წყაროთმცოდნეობითი, ენობრივი მიმართულებით ფუნდამენტური კვლევაა. დიდია ნაშრომის ავტორთა გამოცდილებაც ამ დარგში. ნარკვევისა და კატალოგის ავტორთა ჯგუფი ტაო-კლარჯეთის შესწავლას 2003 წლიდან იწყებს. მათ შექმნეს სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრი და 15 წლის განმავლობაში ტაო-კლარჯეთში 50-მდე სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყვეს. მეცნიერთა ამ ჯგუფის სახელს უკავშირდება ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილი რეგულარული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დაარსებაც. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომი მრავალწლიანი მუშაობის შედეგია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ როგორც ნარკვევში, ისე კატალოგში, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მონაცემების გარდა, შესულია ნაშრომის ავტორთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი თუ იდენტიფიცირებული დაახლოებით 200 ძეგლი ტაო-კლარჯეთში. ნარკვევი და კატალოგი გამშვენებულია ტაო-კლარჯეთის მონასტრების, ეკლესიების, ციხე-სიმაგრეების მაღალი პოლიგრაფიული დონის ფოტოებით, ხელნაწერების და ისტორიული დოკუმენტების ილუსტრაციებით.

საბოლოოდ, ამ ნაშრომის შექმნით ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიიღო მაღალი დონის ფუნდამენტური სამეცნიერო პროდუქტი. წარდგენილი ნაშრომი ,,სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი და კატალოგი'' ტაო-კლარჯეთის შესახებ ამ მოცულობით განზოგადებული, ერთიანი, კომპლექსური, სამეცნიერო-პოპულარული, კოლექტიური ნაშრომის შექმნის პირველი შემთხვევაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღვნიშნავთ ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობასაც. ნარკვევი და კატალოგი ერთი მხრივ, თავისის მულტიდარგობრიობით, მეორე მხრივ კი ვრცელი საცნობარო ბაზის არსებობით, დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც დამწყებ მკვლევრებს, ისე უკვე ჩამოყალიბებულ მეცნიერებს და საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

დაბოლოს ვასახელებთ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ მეცნიერებს: ნესტან ბაგაური, ნანა ბურჭულაძე, გიორგი გაგოშიძე, როზეტა გუჯეჯიანი, ბუბა კუდავა, ნიკოლოზ ჟღენტი, გოჩა საითიძე, ნათია ფონიავა, ნესტან ჩხიკვაძე, ნათია ხიზანიშვილი.

ისტორიის დოქტორი, პროფესორი  ეკა კვაჭანტირაძე